სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-121303

ქ. თბილისი 13 დეკემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ, *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“* (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის ანდრო ასლანიშვილი სახით და მეორეს მხრივ, *შპს „სანნა“ (ს/კ 404508154)* (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის *სოფიო მინდელის* სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანი: სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტოს''თვის ნაძვის ხის მოსართავების (31522000 - საშობაო ნაძვის ხის ნათურები, 37520000 - სათამაშოები) სახელმწიფო შესყიდვა, დანართი N1-ის შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის, შეესაბამებოდეს ამ პროდუქციისთვის დადგენილ სტანდარტებს და დანართ N1-ში აღნიშნულ მახასიათებლებს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1064.80 (ათას სამოცდაოთხი ლარი და 80 თეთრი)** ლარს დღგს-ს ჩათვლით.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2018 წლის საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.
5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის მთავარი სპეციალისტი ნატო სულუაშვილი.**
5.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასა და ხელშეკრულების მოქმედების ვადების კონტროლს განახორციელებს **ეკონომიკური სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი ეკა კუპრავა.**

6 საქონლის მიწოდების ადგილი

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს და დანართ N1-ში აღნიშნულ ტექნიკურ პარამეტრებს.
6.2 საქონლის მიწოდება განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
6.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე: **ქ. თბილისი, რუსთაველის 2/4.**

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს **განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ადმინისტრაციის უფროსი და ეკონომიკური სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი.**

8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გადახდის ეტაპზე გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი

2018 წლის 13 დეკემბერი N01-121303 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

N	დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთ/ფასი	ჯამური ღირებულება
1	საშობაო სანტა კლაუსი 80სმ 1/1	37520000	1	79.9	79.9
2	საშობაო ბურთი 8სმ ლურჯი პლ 48/1	37520000	5	6.9	34.5
3	საშობაო ბურთი 8სმ ლურჯი პლ 48/1	37520000	5	6.9	34.5
4	საშობაო ბურთი 8სმ ლურჯი მინა 48/1	37520000	5	10.9	54.5
5	საშობაო ბურთი 8სმ ლურჯი პოლ 48/1	37520000	5	6.9	34.5
6	საშობაო ბურთი 8სმ თეთრი პოლ 48/1	37520000	4	6.9	27.6
7	საშობაო ბურთი 8სმ თეთრი პლ 48/1	37520000	6	6.9	41.4
8	საშობაო ბურთი 8სმ ასორტ პლ 48/1	37520000	2	6.9	13.8
9	საშობაო ბურთი 8სმ თეთრი მინა 48/1	37520000	5	10.9	54.5
10	საშობაო ბურთი 8სმ თეთრი პლ 48/1	37520000	5	6.9	34.5
11	საშობაო ჩიტი სამაგრით თეთრი პოლ 24/1	37520000	1	15.9	15.9
12	საშობაო ყვავილი 14სმ თეთრი პოლ 24/96	37520000	5	7.9	39.5
13	საშობაო ბაფთა 18სმ 2ცალი თეთრი პოლ 12/48	37520000	3	9.9	29.7
14	საშობაო ყვავილი 16სმ თეთრი პოლ 36/72	37520000	2	5.9	11.8
15	საშობაო ბაფთა 24სმ თეთრი პოლ 12/48	37520000	1	9.9	9.9
16	საშობაო პეპელა თეთრი პოლ 24/1	37520000	1	16.9	16.9
17	საშობაო დეკორაცია 3ცალი 9სმ ELLE კერამიკა თეთრი/შავი 24/1	37520000	2	7.95	15.9
18	საშობაო წინდა 50სმ TJALEF ასორტ	37520000	1	12.9	12.9
19	საშობაო ბურთი 16 ცალი თეთრი პლ 24/1	37520000	2	19.9	39.8
20	საშობაო ბალერინა 17.4სმ თეთრი პლ 36/1	37520000	1	14.9	14.9
21	საშობაო განათება 480 ნათურით 8/8	31522000	1	89.9	89.9
22	საშობაო განათებაGUTTORM 300 ნათურა მწვანე PVC 4/1	31522000	1	55.9	55.9
23	საშობაო ყვავილი 30სმ ასორტ პოლ 24/24	37520000	4	25.9	103.6
24	საშობაო დეკორაცია 15სმ თეთრი პლ 48/1	37520000	1	14.9	14.9
25	საშობაო ყვავილი 37სმ ასორტ პოლ 24/24	37520000	3	17.9	53.7
26	საშობაო სანტა თხილამურებით 80სმ 1/1	37520000	1	129.9	129.9
				სულ ჯამი: **1064.8**	

შემსყიდველი:

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

ანდრო ასლანიშვილი
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:

შპს „სანნა“

სოფიო მინდელი
დირექტორი

18.2 შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
18.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150. საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ტელ: 243 95 45	შპს „სანნა“ ს/კ 404508154 მის: ქ. თბილისი, რუსთაველის 2/4. ბანკი: სს ,,ბანკი ქართუ“ კოდი: CRTUGE22. ა/ა GE 45 CR 0200 0201 0173 602. ტელ. 591 750 077
ანდრო ასლანიშვილი სააგენტოს უფროსი	სოფიო მინდელი დირექტორი

შეთანხმებულია:

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „სანნას“-ს შორის 2018 წლის 13 დეკემბრის №01-121303 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ ანდრო ასლანიშვილი

_____ თეიმურაზ მთივლიშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ ნინო სამადაშვილი

_____ ზვიად გელაშვილი

_____ თეა წულაია

_____ ნატო სულუაშვილი

_____ ეკა კუპრავა

_____ ზვიად მანჯგალაძე

_____ თამარ ყარსიმაშვილი

_____ თინათინ ცომაია